

თავისუფლებისმოყვარე ერებს,
ვით ზღვას, ვერარა ვერ შეაჩერებს!
გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი



კამოს

ნელ-ნელა და „კამაც-კამაც“
მივეჩვიეთ ნენვის ჭამას!..
ჩვენთან არის სერგოც, კამოც,
ილიჩიც და ხალხთა მამაც!..
ერთად ისმის ამ სუფრაზე
„ჩასტუშკაც“ და „ჩარირამაც“!..
ჩვენც ვჭამეთ და სხვას ვაჭამეთ,
რა დავარქვათ ახლა ამას?

რა არის მთავარი

„მთავარია კარგი ლექსი!“
ორი პოეტის საუბრის დროს მოხმენილი.

მთავარია
კარგი ლექსი, თურმე,
ჰონორარი
მოიქცევი თუმცა,
შამპანურზე
დაპატიჟე გოგო,
თათუნებზე
თათი უთათუნე!
ეჰ, წასულა

სიჭაბუკის ეშხი,
უფულობა —
მისი თანამდევნი!..
ახლა რაკი მეტს
გვაძლევენ ლექსში,
შვილიშვილებს
მივუტანოთ კვეცი!

ალი-გაბა და ორმოცდაორი ყაჩაღი

სახალხო დემუტატთა II ყრილობაზე
9 აპრილის ტრაგედიის დაგმობას
მხარი არ დაუჭირა 42 დემუტატმა!..

ვინა ხართ, ვინა ხართ,
თქვე უბედურებო, —
ჯალათი, სის კუნძი
თუ მჭრელი ნაჯახი?!
ტალახში გაჩერდა
დამბალი ურემი
და ორმოცდაორი
შეშფოთდა ყაჩაღი!..
ჭაობში ყელამდე

ჩაეფლო კამეჩი,
შენ კი თვლებს გაპოხავ,
რომ არ იჭრიალოს?!
ბილიკებს ვერ აგნებ
უკუნეთ ღამეში,
ვინ ხარ, უპატრონო,
ვინა ხარ, ტიალო?!
შენ გინდა, თან ჩაჰყვეს
ყოველი არსება
ჭაობში ჩაძირულ
ტახტასა და ნატანტარს!
მხოლოდ სიძულვილით
და ბოღმით სავსე ხარ,
ტყვიას მიაყოლებ
ურმიდან გადამხტარს!..
„ურღვევი კავშირი!“ —
ლოზუნგის ყივილი!..
ერთად ვიძირებთ,
თქვე უბედურებო!
ვინ იცის, გადარჩეს
ცალ-ცალკე ყოველი,
ვინ იცის, გადარჩეს
დაცლილი ურემი?

როგან მივიწოდებდი



„ნითელქუდას“ ანალი ვარიანტი

ერთხელ გადიდგულე-
ბულსა და გატოტოჩებულ წი-
თელქუდას ტყეში გასეირნება
ევასა, დაიღლიავა ნამცხვრებით
სავესე კარზინკა და ბებიაამისთან
წამსევერდა.

გზაში შემოეფეთა პირმოტრე-
ტილი მგელი.

— საით, წითელქუდა? —
ჰკითხა იმან.

— რა შენი საქმეა?! ვინ გკით-
ხავს შე ღორბლიანო, დებილო
მგელო?! — იწყინა ბალანამ.

— რავე ვინ მკითხავს, დაგა-
ვიწყდა მე რომ ამ ტყის ხაზენინი
ვარ?!
— რაო, რაო?! ეს რა მეყურე-

— ვაი, შენს პატრონს უბე-
დურს, არიფი ხვარ გგონივარ?!
ვის აშაყირებ შენ, მაგი აგერ ამ
ფახაცა კურდღლებს ათოხლე!..

— ამ კალათში რა მოგიყუჩე-
ბია, არც ამის თომარს ინებებთ?

— მაგას შენი ტვინი ვერ
ეიტანს! ეიკაბიწე ლაფში, იქეთ
გაწიე მაგ პარახოდივით ცხვირი,
არ ამაფსიხო ახლა, თვარა!..

— თვარა, რაო?! მეიხედე აქეთ!
სად გეიზარდე შე ჟღვინტიანო,
მართლა აღარ გეშინია ჩემი?!
— შენ ხვარ აფრენ?! შლაპა
ხვარ გიჭირებს?! აქიდან მოცოც-
ხე, თვარა თვალეზიდან სულ რა-
კეტებს გაყრევინებს!..

— რაო, რაო?! ეს რა მეყურე-
ბა! ხომ ამიწიე წნევა, აგწია წე-
რამ ხომ?! ამას რას მევესტარი,
რას მიბედავს ეს ღლაპი, გინდა
მართლა გადაგყლაპო?!
— აბა, იკისრე და თათი დამა-
წე! წუხელი სიზმარში ბებიაჩემს
მგლის მწვადებს შეეპირდი და
ახლავე ოუსრულე! — რისხვით
დასქეჟა წითელქუდამ, უშველე-
ბელი კნოპკიანი ფინური დანა
დააძრო და მგლის დასაბრედად
გეიქაჩა!..
დამანდრაჟებულმა მგელმა
უცეფ გვარიანად ჩაისველა, მერე
ისე დალეხდა, იმისთანა პლეტი
იყიდა, კაცი ჩიჩმს ვერ მიატანდა!..
დავით ხუროკა



ნახ. მ. კახიძის

ახეკოტეზი

ერთი თბილისელი მეორეს შეხვდა ქუჩაში.
 — გაიგე, ნიკო? აფრიკაში თურმე წიანგები დაფრინავენ!
 — კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, ამ უფენია მეტი გახართო ვერ
 ნახე?!
 — რა ვიცი, ერთ არაფორმალს უთქვამსო გუშინ მიტინგზე!
 — ზო, მგონი, დაფრინავენ, მაგრამ მაინცდამაინც მალლა ვერ
 აღიან!

* * *

— თადეოზ, მითხარი, თუ კაცი ხარ, შენ ერთპარტიულობის
 მომხრე ხარ თუ მრავალპარტიულობის?
 — სიმართლე რომ ვითხრა, მე უფრო კარგი ცხოვრების მომხრე
 ვარ!

* * *

— მთავრობას გადაუწყვეტია, მარცვლეულის ფასი გააძვიროს,
 ჩვენში პურის ყადრი არ იცინაო!
 — მადლობა ღმერთს, ოქროსა და ვერცხლის ყადრი იცინა! ნე-
 ტავი, ფახებს ხომ არ ვაცვლიან?

ქეთევან დვისაძე

* * *

ჩირნიანკოს დასაფლავების შემდეგ კრემლში ტელე-
 ფონმა დარეკა:
 — ალო, გენერალური მდივნები ხომ არ გვირღებთ?

— თქვენ, ამხანაგო, სულელი ხომ არა ხართ?!
 — კი, სულელიც ვარ, მოხუციც და ავადმყოფიც!..

* * *

ჩირნიანკო სასიკვდილოდ განმზადა და გადაწყვიტა,
 წინასწარ ბრეუნევისთვის დაერეკა საიქიოში. მალე დაუკავშირდა
 და უწინ ეს ჰკითხა:
 — მითხარი, ამხანაგო ბრეუნევი, თან ხომ არაფრის წამოღება და-
 მპირდება? იქნებ თქვენთან რაიმეს დეფიციტია?
 — არა, აქ ყველაფრის სიუხვეა, როგორც კომუნისში! თუმცა
 წამოიღე, ამხანაგო ჩერნენკო, კოვზი და ჩანგალი..
 — რაღა სიუხვე ყოფილა, თუ კოვზებიც არ არის?!
 — რას ამბობ, კოვზები როგორ არ არის! უბრალოდ, როცა სამ-
 წარეულოში პიტლერი მორიგეობს, ჩვენ ამხანაგ ლენინთან, სტა-
 ლინთან და სრუშჩოვთან ერთად იგი გვაიძულებს, რომ ჩაქურჩითა
 და ნამგლით ვკამოთ ხოლმე!..

* * *

მიგდინარეობს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების I ყრი-
 ლობა.
 უცბად შემორბის ავტომატიანი მამაკაცი.
 — ვინ არის აქ ბორის ელცინი?
 დარბაზი ერთხულოვანად მიუთითებს ელცინზე.
 მამაკაცი დამცავისგან ათავისუფლებს სახსლეს!
 — ბორია, დახარე!

გაზეთი „დელო“ (ესტონეთი) 1990 წლის აპრილი

ლანჩხუთის რაიონის ზღვისპირა სოფელ გრიგოლეთის გასაპირს ცალ თვლითაც რომ შეხედო, შიში შეგიპყრობს! შიშის მიზეზი არც უგზობაა, არც უწყობა, არც უხილობა! — ხილმა ზიანიც კი მოუტანა და, გაერთიანების ნაცვლად, გათიშა იგი — ორ სასოფლო საბჭოს შორის გაანაწილა! თუმცა მთავარი გასაპირი მაინც სხვაა, რომელიც უნებლიედ გაგახსენებს ნიკო ლორთქიფანიძის სულისშემძვრელ „იყიდება საქართველოს“!

ღიბს, იყიდება გრიგოლეთი! ვაიყიდა გრიგოლეთი და როგორ პარადოქსალად უნდა მოგეჩვენოთ, ამ უხეირო ვაჭრობით არავინ თარი სარგებელი არ მოუღის არათუ დედ-საქართველოს, არამედ იმ უხილავ ვაიგამ-ყიდველთაც, გარედან თუ შიგნიდან მოწოდებული უხეირო კანონების ბრმა აღმსრულებლები რომ გამხდარან.

„შეუნდე, რამეთუ უმეცარ არიან!“ — გვასწავლის ცხოვრების დიდი წიგნი. ჩვენებურ კაცს შემნდობლობითა და მიმტევებლობით სჭირს, რაცა სჭირს! გასახსენებლად კი შემზარავია უშორეს, შორეულ და უახლოეს წარსულში მავანთა და მავან მოსაზრებათა შედეგად მავანი და მავანი დაშვებული შემნდობლობა თუ კომპოლიტობა ერისა და ქვეყნის ხარჯზე! მაიმებლობის ეს ნაყოფი დღეს ერის წინაშე შეცოდებაში გადაიზარდა და, როგორც იტყვიან, ბაბუის ნაჭამმა ტყემალმა შევიღოშვილს კბილი მოკვეთა.. უპატრონო ეკლესიის ხვედრზეც თქვა ქართველმა კაცმა!

მთელი უბედურებაც ისაა, რომ ვხედავთ, რაცა გვირს, რისგან გვირის! ვიცით და, მათ გამოსასწორებლად, მათ ერთხელ და სამუდამოდ აღმოსაფხვრელად თავსაც არ ვიწუხებთ!

გრიგოლეთის მეთევზეობის კომმუნრეობაში ამ ექვსიოდე წლის წინათ ვიყავით. ფელეტონიც დავებქედით მის გასაპირზე, მიწის მიმტაცებელი თხუთმეტოდე კომლიც ვამხილეთ და ისიც ვთქვით, რომ სოფლის მკვიდრთა დიდი ნაწილი ფოთში „სამსახური“ იქვევს თავს, რომ ისინი, როგორც წესი, სოფლის საკეთილდღეოდ თითს თითზე არ აკარებენ!..

შეაყარე კედელს ცერცვი! გამოსწორების ნაცვლად, გაუარესებულა მდგომარეობა! — აღრე თუ ასეულობით კვადრატულ მეტრ მიწის ფართობს იტაცებდნენ, ახლა ათასობით კვადრატული მეტრის მითვისებას აღარ ეპუთებან! მადა ჭამაში მოდისო! — ეგრეა: ანხია კოტიკოვას ორი ათას ორასი კვადრატული მეტრი მიწა მიუტაცნია, ფიოდორ პეტუხოვს — ორი ათასი, დიმიტრი ტიშოფეევს, იაკობ მედვედევს, ანდრეი ჩაბანოვს, ანა ვორონინას, კარბე ჩაიკოვს — თითოეულს — ათას ხუთას-ათას ხუთასი! სიაში სულ 36 კომლისთავია მოხსენიებული, — ათასიდან შევიდას კვადრატულ მეტრამდე მიწა რომ მიუტაცებთ! 180 კომლიდან 134 კაცი კვლავაც ფოთში „მუშაობს“, სახანძრო დაცვაში! რატომ ჩავსვი „მუშაობს“ ბრჭყალებში? იმიტომ, რომ არა გვგონია, ორი ასეულისაგან შედგებოდეს ფოთის სახანძრო დაცვა და ყველა მეხანძრე აუცილებლად გრიგოლეთელი იყოს!

გავესაუბრეთ რამდენიმე მიმტაცებელსა და „მომუშავეს“. აქეთ შემოგვიტია მარტინ კრახნოვმა და მისმა ვაჟიშვილმა ვახლიმ როგორაო, სოფელში კლუბი არა გვაქვსო, აბანო არ არის, თონე არ მუშაობსო, სკოლა!.. მათ აზრს სხვებიც იზიარებდნენ.

გაუღით და მოითხოვენ! მეტიც: წერენ ზემდგომ ორგანოებში: ჩვენაო, გვავეწროვებენო, დისკრიმინაციას გვიწვევენო! გაუღით, როგორც აღენიშნეთ! სისხლის სამართლის დანაშაულსაც სჩადიან! მაგალითად, არკადი ბოსოვმა და იაკობ მედვედევმა მათი კუთვნილი კარ-მიდამოს მოსაზღვრე ხელოვნური ტყე-პარკი გაჩენეს და ამ წესით ორივემ ორი ათას შეიღასი კვადრატული მიწა მიიტაცეს! ეს შემადრწუნებელი ბარბაროსობა ისეთი უსუსური ნიღბით კეთდება, სატირალი რომ არ იყოს, გაგეცინებოდა კაცს: ხეებს ძირში უსხამენ მავნე სითხეს! ამან თუ არ გაჭრა და ხე ზეზეულად არ გახმა, ტოტებს ახხეპავენ, მერე გადადამენ ღობეს და!..

ისტორიულად მკვიდრ მოსახლეობას კი ორი და მეტი გასაყოფი ვაჟიშვილი ვერ დაუოჯახებია იმის გამო, რომ სოფელში საკარმიდამო მიწის დეფიციტია!

აქ თავიდაც გრიგოლეთის გასაპირი! აქაურები, აგრე უკვე ეჭვის წელია, ამაოდ ედავებიან თავიანთ კუთვნილ მიწაზე უკანონოდ გაშენებულ ფოთის ე. წ. თევზის სააჭროსა და ტრესტ „კოლხიდიშენის“ დიმიტრიოვის მესვეურთ, რომლებიც ასევე მიტაცებულ მიწებზეა გაშენებული! ეს იმ ავებდითი ხნიდან მოდის, რაიონისა თუ ქა-

ლაქის ხელმძღვანელები ტელეფონის ზარიტ რომ არიგებდნენ თავიანთ „სამფლობელოებს“ ძმაბიჭური მოსაზრებით!

ნუთუ არ დადგა იმის დრო, რომ გასწორდეს მრუდე კედელი?!


როგორც ჩანს, სულაც არ არის ამის ვაკეთება იოლი! პირიქით, სოფელს ახალი მოძალადეები შეესია სამი კილომეტრით დაშორებული წყალწმინდიდან! მათი აზრით, ნახევარი სოფელი მათი კუთვნილება!

ამ უსაფუძვლო დავას შეეწორა დასასვენებელი სახლი „უვაილნარი“, რომელსაც მხოლოდ სახელიდა შერჩა ლამაზი. სოფლის ნამდვილ პატრონს არ ანებებენ მას! არადა, პარტახდება ის, რისი ადამიანების სამსახურში ჩაყენება შეიძლება!

დიდა გრიგოლეთის სატივარი, მძიმეა მისი დემოგრაფიული სახე! ურანტერნაციონალიზმის ძლივს დაგმობილი მავნე ტრადიცია ავთვისებიან სიმსივნედ მოხდება აქაურობას, მისი მეტახტაზენი მძაფრად იდგამენ ფეხებს!..

სანამდე?! სანამ უნდა დავიშვდეთ თავი უხილავი კეთილი არსების გამოჩენის ნეტარი ოცნებით?! ნუთუ, აღარ დადგა იმის დრო, სიტყვას საქმით შევერკინოთ, მოვიკეთოთ მოსაკვეთი!

დავით ასპურაშვილი



— ვერა ხედავ, ერთი ფეხი რომ გრძელი აქვს და მეორე — მოკლე?!
— შე კაცო, ეს ქათამი საჭმელად გინდა თუ საცეკვაოდ?!

ნახ. გ. ლომიძისა

მიტრამ კბილები ის ღრვიანად და თვალების ბრიალით გამოკვია დახლიდან, ჭერ ისევ სრულ ჭკუაზე იყო — თავს არაფერს ახლიდა.. ხელში ეჭირა საწონი, იქვე კი ედგა სასწორი, რაც იმაზე მიგვანიშნებდა, რომ მისი ნაბიჯი იყო არასწორი. გასაყიდად დალაგებული ვაშლი, კომში და მხხალი უპატრონოდ დაჟარა, საწონს აღარ დასტვინდა, ქვის ასაღებად დაიხარა..

მანც რა მოხდა, რამ გადაარია მიტრა ან თვალები რამ გადმოუკარკლა, ან სახე რამ გადაუფიქრა?!

ბაზარში ვიღაცები შემოვიდნენ, გულზე ხელი დაიდეს და, — მწვანეები ვართო, — თავი გამოიდეს! მწვანე კიტრი კი გვეგონა მიტრას, ხალხი კი — არა! ჭერ ამაში დაეკვდა, — ესენი ხომ არ ურევნო, — მაგრამ მართო ეს რომ ყოფილიყო, რას ინაღვლიდა, ამის გამო სულაც არ გამოვიდოდა დახლიდან..

მწვანეებმა კი არც აციეს და არც აცხელეს — უწინ მიტრას დეები დასახლდნენ. ქალაქი ააფრიალეს, — ამ ფურცელზე ჩვენი წესები გვიწერია და, თუ ხალხი ვართ და თავი მოგვწონსო, უწინ მიტრას დები უნდა შევამოწმოთო, სულ არ გვეკითხება, რომელი მოსულია და რომელი მახინჯიო, ყველას უნდა ავუღოთ სინჯიო..

ამის გაყოფნაზე ისეთი შეიძლება მიტრამ, რომ იქვე მდგარი სახიკლის შუშები ზედიზედ ჩაიბტვრა..

— ახე რამ გადაგარია?! — შენიშნა ვიღაცა კაცმა და ნერვების დასამშვიდებლად ხელში შეაჩერა მოხარული წაბლის აცმა. — ჩემი და, პისტი, აგერ იმ ყუთებთან მიცდისო! ეგენი პისტის ციდეების შემოწმებასაც აპირებენ, მაგრამ ძალიანაც რო მოიწადინონ, მანც ვერ ამაყვირებენო..

აქ მიტრამ ყვირილით ლამის მთელი ბაზარი დაიხაკურთა. — პისტის ძმა ხარ თუ ვიღაცა მიხარო, — ბლაოდა, — პისტის ციდეების შემოწმება სხვა არი და მიტრას დების მთლიანად შემოწმება კიდევ სულ სხვაო!

ატყდა ჩოჩქოლი, მითქმა-მოთქმა, იქით იქვდა პისტმა, ხოლო მის ძმას შიშისაგან ყალყზე დაუდგა ქაჩალი თმა.

— ამას ხომ ხედავთო?! — მიტრამ მწვანეებს საწონი თვალწინ დაუტრიალა და თან თვალები დაუბრიალა, — ეს გახლავთ ხუთკილოანი ვარიო, შე კი რა პასუხი მომეთხოვება, ერთი უხწაველი კაცი ვარ, გაუთლელი და უბირიო, თანაც ვწივარ სტო გრამში და სუ თავისუფლად შემოძლიან, ვინმეს დავუბრაგუნო გოგრაშიო!

ჭიჭურ მიადგა მწვანეების მოთავეს და მოძიძილადე მამლებივით ბიბილოები გაულურჯდათ ორთავეს.. ეს კაცი და მისი სიცოცხლე მიტრას არც კი უღირდა გადამწიფებულ კიტრად, იმას კი, — მწვანე ვარო, — თავი მოჰქონდა. — შენო, — ნიკაში თავისუფალი ხელი ჩაავლო მიტრამ, — მწვანეს რო რქმევ, სინამდვილეში კი კოტე გქვია თუ კოწოო, ეხლავე გულახდილად მითხარი, მიტრას დები როგორ უნდა შეამოწმო?! —

— პისტის ძმა ვინ ჩემი ფეხებია, რო იმას ამდენ პატევს სცემ, რო, პისტის ციდეები და მეტი არაფერი უნდა გაუხინჯოო, ჩემ ტანსრულ დებს კი ზედ უნდა გადააბიჭოო..

მიტრას სიტყვის დამთავრება აღარ აცალეს, იქვე ვიღაცამ დააბღვრიალა მუჭი სათვალე: პისტის ციდეები იქნება თუ მიტრას დები, რა მნიშვნელობა აქვს, ყველანი ერთნაირად უნდა შემოწმდნენო! — ჩაილაპარაკა. — აქ ისეთი არაფერია, წამოდით, საკუთარი თვალით უყურეთ, აქვეა ლაბორატორიაო!

სათვალისა ჩიჭურ მიადგა იმ დახლს, სადაც ვაჭრობდა მიტრა, წამოკრიფა ვაშლი, მხხალი, ატამი და მიტრასაც ხელი წაატანა: — წამობრძანდი, გაჩვენო, სად იქნებიან მიტრას დებიო!

— ვაშლში რა ჩასტევა, ჭერ უფროსსა, — იმხელა ქალსაო, დევისა ჰგონია, ვინცა ნახავს იმის ნატერფაღსაო. მერე არ იკითხავთ, დარუხს და ბაბუცასაო, მთელ ქალაქში ვერ უპოვით ცალსაო! — ყვიროდა მიტრა, თან გულის დასამშვიდებლად წუწნიდა „პიტნას“.

აღდეს მწვანეებმა ვაშლები, ლაბორატორიაში წაიკრეს ქალებმა თეთრი თავშელები, შემოწმეს გულდაგულ რამდენიმე წაყოფი და სინჯარაში ჩაუტრეს მათი გამოწყოფი..

— აი, ეს გახლავთ ნიტრატები და სულაც არ გახლავან ისინი მიტრას დებიო! — აუხსნა მიტრას ლაბორანტმა, სახელად რომ ერქვა ფატმა. — იმიტომ ჰქვიათ ნიტრატები, რომ ხილბოსტეულში სიმტრეს დებენო..

— კი, მაგრამ, რეები არიან და საიდანა ჩნდებიანო? — იკითხა მიტრამ და შიშისაგან სახე გადაუფიქრდა.

მის წინ იდგა ფატმა და ლამაზ ხელზე ირგებდა რეზინის თათმანს. — ბაღს რომ სახუტებს აყრი და აყრიო, — შესცინა მიტრას. — მაღე ისე დაგატუნტავს, თავს მიწამდე დახრიო!

უკეთურად ჩაიჭიჩქილა მიტრამ, გაიშორა და მსუქანი ტანით ნებვრად მიიმტვრა-მოიმტვრა. — მეო, გაიღრჩია, — ცალკე მამაქ ბაღბოსტანი ცოლ-შვილისთვისო, თქვენ კი არ გეგონოთ, ვიყვე ვინმე ბატისტინაო.. იმ ბოსტანს საბაზროს, ცალკე რომ მითვისა, სასუქებით ვაბერებო, ცალკე საჩემოს კი ნელინელა ნაკედს წარვეცო!

— რაკი ასე მსტელობ, მიტრაო, — მიუგეს მწვანეებმა, — ვატყობთ, შენს ტვინშიც შეუღწევია ნიტრატსო, ამიტომ ბაზრიდან ბარგი უნდა აიკრაო!

და მერე ისეთი ჩხუბითა და მუჭარით წამოკრიფეს დახლიდან მისი ვაშლი, მხხალი და კომში, რომ მიტრას თავი ეგონა ომში..

მერე კულამოაქუბული მიდიოდა მიტრა ბაზრიდან და ველარ მოსწონდა თავი საკუთარი აზრითა. მიტორტმანებდა და მიტრტუტუნებდა: — მე რო მეგონა მიტრას დები, აი, რა ყოფილა ნიტრატებიო! ნეტა კუბო აეწომათ ჩემთვის პისტის ციდეებით და სულ არ გამეგონა პესტიციდებო!..

ამ ნიტრატის ფიჭვებში წასულმა მიტრამ გორდულადან ჩამოვარდნილ დამაბლ ვაშლს ფეხი წამოჰკრა, გზიდან გადაქანდა და ლამის მთლად დაიბტვრა!..

ელგუჯა მერაბიშვილი

ნახ. მ. აბაშიძისა



რას შვრებენ, კაცო, როგორა ხარ? ვარ ისე, რა, საბჭოთა კავშირივით!

ბალახეჯის ქვეყანა

ქალაქურ-წიგვნივანიშულ კილოკაჰვი

ტალონების ქვეყანა ჩოქვით შემოვიარე, ყველის რიგში ვიდექი, მიტომ დავიგვიანე! შენთვის დაკრეფილი მაქვს ჭინჭარი და დანდური, ცოტა კვერცხიც მოვასხათ, გადმოილე ფანდური! სესიების ქვეყანა ჩოქვით შემოვიარე, „ურავდის“ რიგში ვიდექი, მიტომ დავიგვიანე! შენთვის დაკრეფილი მაქვს კოფჩხილო და ფანფარა, გაზაფხული მოსულა, გამოალე ფანჯარა! ყულაბების ქვეყანა ფრთხილად შემოვიარე, ხორცის რიგში ვიდექი, მიტომ დავიგვიანე! შენთვის დაკრეფილი მაქვს ლანძილი და ეკალა, გამოალე კარები, ჩვენი არის ქვეყანა! ლოზუნგების ქვეყანა, მოლოქვა და ცერცველა, წამო ერთად ვიაროთ, ამოვთხაროთ ენძელა! ლატარიის ქვეყანა... იყო, არა იყო რა, მოდი, ერთად ვიბღავლოთ, წიქარა და ნიკორა!

ბებლარ ნოზაქი (ქ. გორი)



წიგნა

ერთი ვაიუშველებელი დავა და ჩხუბი ჰქონდათ ატეხილი საბანსა, ბალიშსა, ყურთბალიშსა, ლეიბსა, ბზით გატენილ ვეებერთელა მუთაქასა და სხვებსაც.

სიყვარულში ეცილებოდნენ და ექიშებოდნენ ერთმანეთსა, თავიანთი პატრონის სიყვარულში: ვინ უფრო, ვინ მეტად ერთგულებსო, ათობსო, ასიაშოვნებსო, სჭირდებო ჩვენ პატრონსაო, ჩვენს ბატონსაო!..

— მე უფრო, მე მეტად, მე ყველაზე ძალიანო მიყვარს ჩემი პატრონი, ვუყვარვარ ჩემს მამაბატონსაო, ვენაცვალე იმის გოლიათ ტანსაო, მუდამ გულზე ვყავარ დაფენილი შირაზის ვარდივითაო, აცივდება და, როგორც ლავაში ლულაქაბაბი, ისეა ჩემს სითბოში გახვეული. ზედ დაეკანკალებ, ცივ ნიავსაც არ ვაკარებ, მე ვათბობ და ვანეტარებო! — აღმოსავლურ ხმაზე ბიათ-ლათათობდა საბანი.

— შენი სითბო ვინა თქვა, სად გაგონილაო?! — გაგულისებულმა გაუპროტესტა ლეიბმა, — თუ სითბო-სიკეთეზეა ლაპარაკი, აქ პირველ ადგილს ჩემი პატრონის თვალში ვერცინ წამართმევს, ვერც ვინ შემეცილებსო! იცის იმან ჩემი ფასი და ადგილი ჩვენს დიდ ოჯახშიო, იცის და არცა ცდება, სად ბაბის საბნის სითბო და სად კიდევ ჩემი — მატყლის ლეიბისაო; ძვირფასი მატყლითა ვარ გატენილი, ხელხვაიანადა, ბარაქიანადაო!

— მოდი და, ნუ გაგიტეხები ახლა! — პირგამხეებულად კალთებს იგლეჯდა საბანი, — ბამბა კი არა, კოტონი ვარ მე, კოტონი, ასპროცენტიანი კოტონი!

— არა ვიცი, არა გამიგია რა მაგ შენ კოტონ-მოტონობაზეო! — წადი საერთაშორისო ბაზრებზე, თუ არ იცი, ნახე და ისე მელაპარაკე, შე უვიცო, შენაო! შეადარა რაღა ამანაც შირაზის შუშა თირახსაო, რად გინდა ლაპარაკი, რომ ყველაზე მეტად მე ვუყვარვარ ჩემს პატრონსაო, მე ვათბუნებ, მე ვეველები თავსაო; ფრთხილად ასწევს ჩემს კიდესა და ისე ჩამოჭდება ქვეყნის დასანახადა თავის საბრძანებლო ტახტზედა, არ მახსოვს, ზედ დამჭდომოდეს!

— არა ხარ სანდო და იმიტომ! ერთი რომ დაგაჯდეს, იმწუთშივე წიწილის ნაჭყაპურტებოვით გადმოგცვივა ეგ შენი ბამბა-ბუმბები! იცის თავგზიანმა, კარგად იცის, ვისაც უნდა დაეყრდნოს! მე მაწევს, მე, ლეიბსა, ისა თავის ზორბა ტანითა, მე ვუძლებ იმასა ნეტარებითა, სიამითა!

— კეთილი, ბატონო, შენ გეყრდნობა, შენ გაწევს, მართალია, მაგრამა, სამაგიეროდ მე მეხვევა თბილ საბანსა, ჰოდა, რომელი ჯობია, რომელი უფრო ჰყვარებია ჩვენს პატრონსა, ჩვენს დიდ ბატონსა, შენ თუ მე?

— მეხვევაო?! — თვალში გაქვს ჰკუა, თვალში კი არ გეხვევა, ხელში ჰყავხარ ჩაბლუჯული, არ გიშვებს ხელიდანა რათა? არ გენდობა და იმიტომ! ჰრელი ხარ, ჰრელი, გველივითა, ე მაგ შენი აბრეშუმის საპირითა რამდენჯერ გადახდია საბანი ბატონსა, რამდენჯერ გადაცოცებულხარ ჩუმთა?! ბევრჯერა! გამოკერილი ჰყავხარ ჩვენს მადლიან პატრონსა, თორემა აქამდისაც დიდი ხანია გაუსხლტებოდი და გადგებოდი გვერდზედა ვარსკვლავიან ღამიანშია, ნამგლიან მთვარიანშია!.. ვუყვარვარო?! მეხვევაო?! სიყვარულს ხომ არ გიხსნის კიდევა?

— ჰაი, ჰაი, რომ ეგრეა! მეხვევა და სიყვარულზეც მეჩურჩულება! — ოპ, ეს ქლესა, თითლიბაზი ესა! — აწიკინდა და აწიწმატდა

ციცქნა ყურთბალიში, ჩვენი დიდი ბატონი ამ ბოლო დროს სწორედ რომ მე მესაიდუმლოება, ჩემთან არის განდობილი სიყვარულში; მე ვუზივარ, მე ჩაუფრინდი გულში გვრიტივითა, ყელში მიხუტებს და მენუკვარება, ენაცვალს ჩემი თავი იმასა! არც მე ვაკლებ ჩემსასა: ღამლაობით ყურისძირში ვეჩურჩულები და ვეჩურჩულები! გულდანდობილად ვუმხელ ჩემი გულის ხვაშიადსა, მას-გვერდულად; ვეფიცები და დღენიდავ ვემტკიცები! ალალი იყოს ჩემი თავი იმისთვისა, ჩემი ზორბა პატრონისთვისა, მფარველისთვისა! მერე რა, რომ პატარა ვარ, არაფერი! შეგეშალოთ, ნურასუჯაცრავადა! ერთ მშვენიერ დღეს ინებებს ჩვენი ბატონი და მთელ დღუისს გავაგონებ ჩემს ხმასა, ჩემს სვედენიერ არსებობასა! ამ ოჯახში მეც მაქვს კუთვნილი ადგილი, არავის დავეჩაგვრინებ, არ დავანებებთ კუთვნილს, ცოცხალი თავით არ დავთმობ ჩემსასა!

ამ სიტყვების გაგონებაზე ძილმორეული ბალიში ანაზად გამოფხიზლდა, შეიჩხა, შეტოკდა და მის თავზე წამოესკუპული და ენა-გაკრეფილი ყურთბალიშიც შეატოკა.

— შენ, ეი! — შესძახა ბალიშმა, — რეებს მიპქარავ, შე ჩემით შექმნილო, შე მართლა ასეთ და ისეთო!

— დახეთ, რას კადრულობ, როგორ მსპობს და მანიორწყლებს?! ხომ გაიგონეთ თქვენი ყურითა, ხომ მოისმინეთ, ხომ დამემოწმებთ?!

— ჩემითა ხარ შექმნილი და, შე სხვისაო, ხომ არ გეტყვი?! რაცა ხარ, ის გითხარი!

— შენჩემობა არ იყოს აქა! ყველა ერთნი ვართ ამ ოჯახში! — შეარბილა საკონფლიქტო სიტუაცია ბზით გატენილმა მუთაქამა.


— ჩემითაა ეს ციცქნა ბალიში, ჩემი გამონაყოფი, მე გამომაცალეს, მე, ბალიშსა, გვერდებიდან ყველაზე კარგი გერმის ბლუჯა ბუმბული და ეს შეკერეს უკეთურებმა, უგანობებმა. მერე იქვე განათლეს და სახელიც ახალი გამოუჯგონეს — ყურთბალიშიო! ბალიში ბალიში, ეს ყურთბალიში რაღა უბედურებია?! ასე ყურთბალიში ბალიშ თუ დამანაწევრეს, რაღა დავრჩები, რაღა ვიქნები?!

— თქვენ რომ გულზე ცეცხლი გეკიდებათ და ერთ ამბავში ხართ, მაშ, მე რაღა ვთქვა, მე, მუთაქამა?! თქვენ სად იყავით მაშინა, ბალიშები და ყურთბალიშები, როცა ჩემზე ჰქონდა მისვენებული გვირგვინოსანი თავი ჩემს პატრონსა, ჩემს მფარველსა ზამთარ-ზაფხულ, დღე და ღამე?! არ ვყვედრი, ალალი იყოს ამავი, ნაცვლად იყოს ჩემი თავი მისთვისა, ნურც მომწლია და, რომ იცოდეთ, არც არასდროს მომეშლება ჩემი დიდი ბატონის წყალობა და იმედი! ასე რომ, როცა მე აქა ვარ, გვერდზე ჩამოდექით, ჩუმად იყავით ისე, რომ ხმა, კრინტი არ ისმოდეს თქვენი!

— რეებს გადასც-გადმოსცემი?! შენ რომ პატრონს ეძვირფასებოდე, ყველაზე დაბლა კი არ ეგდებოდი, ასე მაღლა წამოსკუპებული ეყოლებოდი ჩემსავითა. შე ბზით გატენილო, შენა! — პირში მიახალა სიმართლე მხარდაჭერით განებვირებულმა ყურთბალიშმა.

— ახლა კი ბზით ვარ გატენილი, მაგრამა ძველადა? — თავი იმართლა მუთაქამა, — მთლად აღრე, სულ ძველადა, ბზა როდი ვიყავ მე, პურის ყანად ვბიზინებდი ოქროსფრადა, ჩემს პატრონსაც ვაპურებდი და ქვეყანასაც, თვალსა ვჭრიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთსა!..

— თვალს არა, თავსა გვჭრი! ამხელა მუთაქა აგლიხარ, ამხელა ადგილი გუკავია საბრძანებელში და რა ყრია შენში ბზის მეტი?! არაფერი! ჰოდა, როცა აქ პატრეცემულები ვლაპარაკობთ, სწორედ შენ უნდა გადგი გვერდზედა და ეგლო შენთვის ჩუმდა!



— რახან ვგრეა, აგერ არ არის? ვკითხობ ჩვენ სიყვარულ მამა-ბატონსა, ვინ უყვარს მეტადა, ვინ ერთგულებს და ვის თავს საჭიროებს ყველაზე მეტადა, მეტისმეტადა, ვინ ათობს და ანეტარებს მის გოლიათ სხეულსა. იოტისოდენადაც არ მეპარება ეჭვი, რომ მე ვუყვარვარ ყველაზე მეტადა, მის სიყვარულში ვერავინ შემეცილება, მე ვიცი მისი ფასი, მაგრამ მაინც ვკითხობ! — წინადადება შემოიტანა ლეიბმა.

— რა კითხვა უნდა ამასა, მე უფრო...
— როგორ შენაო?! არა მე, და არა მეო! — აიშალნენ და ახმაურდნენ თავიანთი პატრონის ერთგულების დასამტკიცებლად პირაქაფებული ფარისეველნი.

... ვინ იცის, მერამდენად ისმენდა ამას მამაპაპური ძველებური ტახტი და კვლავინდებურად გულში ეცინებოდა. მან კარგად იცოდა, რა სიყვარულიც ალაპარაკებდათ პირმოთნეებს, სიყვარულს მათსას შიში ერქვა — ელტის შიში, იქვე რომ იყო მათი „შუქის სასწავლებლად“ კედელთან მიყუდებული და ავად იმზირებოდა. ხშირად გადასწვდებოდა ამ კეტს ამ საქმეში მართლაც დაუზარელი მათი პატრონი და საბანს, ლეიბს, ბალიშს, ბზით გატენილ მუთაქასა და სხვებსაც დაუზოგავად ურტყამდა და ბღღერს ადენდა. ამ საქმეს და საქვეყნოდ ცნობილ კარგ ლაზათიან რუსულ გინებასაც, რომელსაც ზედ დაურთავდა, რატომღაც ეს ჩვენი ნაცნობი პატრონი უცხოურ სიტყვას **პ რ ო ფ ი ლ ა ქ ტ ი კ ა ხ** ეძახდა — ყველასათვის საჭირო და აუცილებელ **პ რ ო ფ ი ლ ა ქ ტ ი კ ა ხ**!

რად უნდა ლაპარაკი, რომ ახლაც ასე მოიქცეოდა, მრავალჯის ნაცად საპროფილაქტიკო პროცედურას ჩაატარებდა, ვინ დაუშლიდა, დამშლელი ვინ იყო, მაგრამ, ვაი, რომ ვერა! საქმე ის გახლავთ, რომ მათი პატრონი ერთობ ვაგლახად ბრძანდებოდა, საამქვეყნოდან საიმქვეყნოში გასამგზავრებლად ემზადებოდა და კითხვა-პასუხის კი არა, ხელის თონავ განძრევის თავიც აღარ ჰქონდა სულთმობრძავსა და ილაჯაწყვეტილს!..

ამქვეყნად, აბა, რა დამალულა, რომ მათი პატრონის, მათი დიდი ბატონის ბედშავობა მიჩქმალულიყო და რაკილა გაღმა-გამოღმა გაისმა და გახმაურდა მათ პატრონთან მიქელ-გაბრიელის ვიზიტი, აიშალნენ და აიჭოჩნენ საბან-ლეიბი, ბალიშ-მუთაქა და სხვებიც.


მაგრამ ამჯერად სასწრაფოდ სულ სხვა პანგზე მომართეს საკრევიბი, სულ სხვა ხმაზე დასცეს ბუკსა და ნაღარას მედროვეებმა, წინმასწრებმა და თავიანთი პატრონის ლანძღვა-გინებით სულერთიანად გააყრუეს ქვეყნიერება!

... და-ა-დე-ეჰ!!! — საუკუნეთა სიღრმიდან ანაზღად გაისმა დედა-სამშობლოს შემეუსვრელი ძახილი. ამ მკვახე ხმის გაგონებაზე ყველა გაჩერდა, გახევდა და ავის მაუწყებელმა ღუმილმა დიდხანს, ძალიან დიდხანს დაისადგურა ლეიბგაზულუქებულთა, საბანფარისეველთა და სხვათა და სხვათა უკეთურთა ნებიერ, ნეტარსაცხოვრების თაღვეტებიან ჰერქვეშა.

მისამღერი საზინალოდ „ვესელა ვესნას“ ხმაზე

- კარზე მოდგა გაზაფხული,
- სიოც ქროდა საიმისო,
- წყალზე იდგა საბრძანებლო,
- ხეშიც წყალი ჩამდგარიყო,
- შედგომოდა ძრწოლა ქაჭეთს,
- ყველა განზე გამდგარიყო!
- რალად უნდა დურბინდები,
- განკითხვის დღე დამდგარიყო!

ნ.ბ. ბ. ზუბაფილისა



უსიტყვოდ



„ცონა? არცონა?“ —
ფიჭობდა ჰამლეტი,
... ამასობაში დაეწვა
ომლეტი..

იჭარის ფორმები დროდადრო
იცვლებოდა:
ჩინარდი ერთ ცხენში სამეფოს
იდლეოდა!..

ო, პეტრუჩიო, პირვეულ
ცოლის
მორჭულებაში არმყოფი
ტოლის,
დღესაც რომ კრიდეს
შენი ხერხები,
აუცილებლად
დაგესხებები!..

ხანჯალმოღერებულ
არაფორმალეზში
ბრუტოსის ხილვით კეისარი
უფრო რე შეცბა.

დიდი გაოცება ჩაუდგა
თვალეში: —
„ოჰ, ბრუტოს, შენცა?!“

მთელი ქონება შეიღებს
რომ მისცა,
ის მეფე ღირი ყოფილა
ვირი!
არ დაიტოვა მტკაველი
მიწა! —
ადგეს ახლა და მომკამოს
კირი!..

კუნძულ კიპროსზე ერთ
საფლავის ქვას
შემორჩენია
წარწერის კვალი:
„შედეგს გამვლელი
დე, შენდობა თქვას,
ეულ სამარეს
მიაპყროს თვალი!
აქ განისვენებს
შავკანიანთა
უფლებებისთვის მებრძოლი

პირველი თეთრი ქალი —
დე ჯდე მონა!..“

„თავთან მწვანე ხე დარგესა“, —
რომ მღეროდი, ოფელია,
დღეს ვინ მისდევს მაგ საქმესა —
შეიცვალა სოფელია!..

ერთგულების ხაოცრება —
რომეო და ჯულიეტა,
ამ ორ ნორჩ გმირს, ხაოცნებოს,
ერთი ბქონდათ გული, ნეტა?

დედემონას გაუვარდა
ხელსახოცი,
ამ წუთიდან გახდა მავრი
შესალოცი!..

თავისუფალი თამა:
მეფე ღირის ქალიშვილია

გონარილა

შენს მზაკვობასთან,
ო, გონერილა,
სხვა ბოროტება
მოგონილია!

რეპანა

რაც გაუქეთე მამას,
რეგანა,
გაიფიჭრებდა მაგას
შენგანა?!

კორდელია

ამ ქვეყნისა შენ არ იყავ,
კორდელია,
არ იცოდი, რომ ცხოვრება
ბორდელია?!

თამაზ ეგანოიძე

ნახ. ჯ. ლოლუასი



— რად გინდა სამსახურში ამდენი საღურგლო
იარაღი?!

— რა ვიცი, იქნებ კაბინეტის კარი დამხვდეს აქე-
დილი!..



ლიბერალიზმი

ბ ა ვ შ ვ ი : — კამფეტი მინდააა!..
დ ე ბ ა : — რა გატირებს, ბიჭო, რას დაემსგავსე?! ვინმე გნა-
 ხავს, მაიმუნი ეგონები, წაგიყვანს და ზოოპარკში გალიაში ჩაგვამს!
მ ა შ მ ა : — მერე მოვლენ ბავშვები, დაგელრიჯებიან და კამფე-
 ტებს შემოგიყვრიან!..
ბ ა ვ შ ვ ი : — ზოოპარკის გალიაში მინდააა!..

* * *

ქ შ ა რ ი : — შეხედე, შეხედე, მზია, რა ქალია ტელევიზორში!
 აუ, ბიჭო!..
ც ო ლ ი : (ამოოხვრით): — ეპ, რატი, რატი! ამ ხუთი
 წლის წინათ, პირველ კურსზე, მე რომ გამიცანი, უკეთესი გემოვნება
 გქონდა!

* * *

მ ა რ თ ა ძალზე შავგვრემანი ქალი იყო. ერთხელ ქალიშვი-
 ლები ჩამოუვიდნენ, თეთრი ანგელოზებივით ლამაზები.
 მეზობელმა უთხრა მართას:
 — რა არი, ქალო, შენ მუგუშალივით შავი ხარ, ეგენი ეგეთი
 თეთრები, საიდან სადო?!
 — არ იცი, რომ შავი მიწა ძალზე ნოყიერია და კარგ მოსავალს
 იძლევა?! — მიუტო მართამ.

* * *

ქ ა ლ ე ბ ი ტელევიზორს უსხედან. მოსკოვიდან გადმოცე-
 მია. უსმენენ ქართველი დედები რუს ბავშვებს, სხაბასხუბით რომ
 ლაპარაკობენ.
 — ერთი უყურე, როგორ ტლიკინებენ ეს მამაძაღვლები! — შე-
 შურდა ერთს, — ჩემი სიტყვას სიტყვაზე ვერ გადაბამდა!..
 — იტლიკინონ, ჩემო კარგო, იტლიკინონ! — უთხრა მეორემ, —
 არ არიან, ბატონო, ქართველები ბუნებით მოტლიკინენი, ისინი მო-

მღერლები, სტუმართმოყვარენი, მიმნდობნი და მიმტყვებელნი
 არიან!.. რატომ უნდა ჰგავდნენ ჩვენი ბავშვები სხვებს?

* * *

ღ ი რ ა მ ა ტ ო რ ი ძ ა ლ ი : — ხომ არ გავიწყლება, ჩემი ხელქვეითი
 რომ ხარ?! /

ქ ა ტ ი : — ეპ, ამ ოცი წლის წინათ ძალიან მიყუყუნებდი თვა-
 ლებს! კეკუა რომ შეგმარა და ცოლად შემერთე, ხელქვეითიც იქნე-
 ბოდი ჩემი და წელქვეითიც!

* * *


დ ე პ ა ნ ი : — ყმაწვილებო, ვინ მღერის თქვენში კარგად?
ს ტ უ დ ე ნ ტ ი : — ელიტა პიეხა, პატივცემულო!
დ ე პ ა ნ ი : — ჰოლა, შესვენებაზე დეკანატი ჩამოვიდეს, ფა-
 კულტეტის კონცერტში უნდა მივალდებინო მონაწილეობა!

* * *

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ა ლ ი : — ბავშვები „გედების ტბაზე“ მიმყავს,
 საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ?
ღ ი რ ა მ ა ტ ო რ ი : — არაფერი! ოღონდ ფრთხილად იყავი,
 წყალში ღრმად არ შეუშვა, არავინ დაგებრჩოს!

* * *

ე რ თ ი ბ ა ვ შ ვ ი — მ ე ო რ ა მ :
 — მამამ გუშინ მტკვარში იმხელა თევზი დაიჭირა, ბებიას სიგარ-
 ძე იყო და თავიც იმოდენა ჰქონდა!..
 — კული?
 — კული არ ვიცი, ბებიას სულ კაბა აცვია!



481
22.VIII 1990

ღო რ ი: — წარჩინებით დაგიმთავრებია ხასოფლო, კანდიდატიც ყოფილხარ, რა უნდა აკეთო ქალაქში?! წადი სოფელში..
ც ხ ე ნ ი: სოფელში რა მინდა, მაშინვე დამზადებაში მიკრავენ თავს!..

ორენოვნება

მე თუ მკითხავენ, წინააღმდეგი ვარ ზედმეტი ნდობის, ანუ ღორობის ორენოვნებით ხომ დაირღვევა პრინციპი ერთა თანასწორობის?!

არ სჯობს, მოვეშვათ ერთურთის წყენას?! დაჩაგვრის მომგონს გაუწყურეს ღმერთი რად უნდა გვქონდეს სხვებს ორი ენა, ამ დროს „საბრალო“ რუსს — მხოლოდ ერთი?!

„მოძმე ერთა“ კავშირი

შიდის კაცი ქუჩაში როკფელერის იერით და თავისი ჰგონია ლამის მთელი ქალაქი არის მხიარული და უზომოდ ბედნიერი: უტალონოდ იზოვა, ჩანს, ყველი ან კარაქი!

ჭირს, ზღვა სიხარულიდან გაიხსენო რომელი, ყველას ერთად ვინ მოთვლის ჩვენი ყოფის ღირსებებს?!

იმას რა შეედრება, ოც წელიწადს რომ ელი და თავიდან ასაგებ ბინას რომ გაღირსებენ?!

ისმის ტაში მქუხარე!.. ჰარბოზს ვარდისფერები და მსოფლიოს რუკაზე მხნედ და ლაღად გაშლილი ასე „ს ი ხ ა რ უ ლ ი ს“ და ასე „ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ი ს“ ქვეყანაა ეს ჩვენი „მოძმე ერთა“ კავშირი!

* * *


ენაცვლება წელი ლუწი ნაკიანს, თვე თვეს მისდევს, ძალა ისევ აღმართს ხნავს!

ჭერჭერობით მხოლოდ ლაპარაკია, საქმით ჭერ არ შეიგრძნობა გარდაქმნა!

ჩამაგირზე ყოფნა ისევ ძნელია, აქ კი — ისევ გადასინჯვა ფახების!.. ისევ ახალ გაძვირებებს ელიან!.. ისმის ხმები აღშფოთებულ მახების!

უჭირს მუშას, ინტელიგენტს ფრაკიანს, აღარც გლეხმა აღარ იცის, რაღა მქნას!.. ჭერჭერობით მხოლოდ ლაპარაკია, საქმით სულაც არ იგრძნობა გარდაქმნა!

რეკავა ნიშარაძე



სატირისა და იუმორის უშრატული „ნიანგი“ №15 (1817). ივლისი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ გოლჭვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვახუა ამირეჯიბი, ნოზადი ბართაია, რევაზ თვარაძე, ჭემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი). ნოდარ მალაზონია, ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიფვიცაძე.

ტექნიკური რედაქტორი ირაკლი ღუნღუა

გადეცა ასაწყობად 2.07.90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.08.90 წ. ქალაქის ზომა 60x90^{1/8}, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბხი 1,9. საქართველოს კბ ცკ-ის გამომცემლობა, მ. კოსტავას ქ. №14. შეკვ. №1491. ტირაჟი 125.000. უშრატული გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი №42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემკანქანის — 99-76-69.

სატირიკო - юмористический журнал «НИАН-ГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели №42. Издательство ЦК КП Грузии, ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. М. Костава №14.

ფასი 20 კაპ.

ინდექსი 76127